თბილისის არქიტექტურა

ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №6370052

ნომერი: AR1951841

თარიღი : 01.03.2023

გაცემის თარიღი : 16.03.2023

გაცნობის თარიღი : 16.03.2023

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, ალექსი გობრონიძის ქუჩა, N 32ე;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ბესიკ პაპისმედოვი პ/ნ 01012000873
- თბილისი ვაზისუბნის III მ/რ II კვ. კორ. 10 ბ. 191

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენი 2023 წლის 1 მარტის №AR1951841 განმეორებითი განცხადება, რომლითაც ითხოვთ სამსახურის 2021 წლის 25 ნოემბრის №5693425 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორებას ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებთან დაკავშირებით.

აღნიშნული განცხადების პასუხად გაცნობებთ, რომ სამსახურის 2023 წლის 10 მარტის №6361302 ბრძანებით, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83-ე მუხლის საფუძველზე, დაგიდგინდათ ხარვეზები და განგესაზღვრათ ვადა ხარვეზების გამოსასწორებლად.
დოკუმენტაციის გადამოწმების შედეგად სამსახურმა დაადგინა, რომ ხარვეზები სრულად არ არის გამოსწორებული, კერძოდ საცხოვრებელ ფართობებში ისევ არასწორად არის ჩათვლილი კოლონებისა და საჰაერო შახტების ფართობები. ამასთან, ამჯერად წარმოდგენილ -3.00 ნიშნულის გეგმაზე მდებარე ავტომობილის სადგომებზე დამოუკიდებლად არის დატანილი ფართობები, შესაბამისად სამსახურის მიერ გადამოწმდა მთლიანი საპროექტო შენობის ავტოსადგომის ფართობი და დადგინდა, რომ ყველა ავტომობილის სადგომზე ზომები სრულად არ არის მითითებული (სიგრძე, სიგანე). ამასთან, ვინაიდან ავტომობილის სადგომებზე დამოუკიდებლად არის მაჩვენებლები დაფიქსირებული საჭიროა სავალი ნაწილის ფართობიც დამოუკიდებლად დაფიქსირდეს. აგრეთვე, გაითვალისწინეთ, რომ +0.60 ნიშნულის გეგმაზე მდებარეობს ღია ავტოსადოგმები, რომელთა ფართობი არ იანგარიშება ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებელში, თუმცა შესაძლებელია მათი დაფიქსირება ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლებისგან დამოუკიდებლად, ცალკე.
განგიმარტავთ, რომ სამყოფისათვის ფართობი განისაზღვრება მის შემომსაზღვრელ კედლებს შორის არსებული იატაკის ძირითადი კონსტრუქციის ზედაპირის ფართობით, მათ შორის არსებული საყრდენი კედლებისა და კოლონების ფართობის გარეშე (ბინის ფართობში არ იანგარიშება ასევე საყრდენ კედლებში და ბინის შემომსაზღვრელ კედლებში არსებული ღიობები, ბინაში არსებული იატაკის სხვადასხვა დონეების დამაკავშირებელი შიდა კიბე და მისი ბაქანი).
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საჭიროა დაზუსტებულ იქნეს მოთხოვნა საცხოვრებელ, ავტოსადგომისა და საერთო ფართობებთან დაკავშირებით. ამასთან, სურვლის შემთხვევაში დაზუსტებულ იქნეს მოთხოვნა ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლებისგან დამოუკიდებლად, ცალკე ღია ავტოსადგომის ფართობის დაფიქსირებასთან დაკავშირებით. ამასთან, საჭიროა წარმოდგენილ იქნეს სამსახურის 2021 წლის 25 ნოემბრის №5693425 ბრძანებით შეთანხმებული არქიტექტურული გეგმების იდენტური (გეგმარების ცვლილების გარეშე) არქიტექტურული გეგმები, გასწორებული ფართობების დატანით.
ვინაიდან, სამსახურის 2023 წლის 10 მარტის №6361302 გადაწყვეტილებას გაეცანით 2023 წლის 10 მარტს, ხოლო სამსახურს განმეორებით მომართეთ 2023 წლის 15 მარტს, ხარვეზის შევსებისთვის განსაზღვრული 30 (ოცდაათი) სამუშაო დღიდან დარჩენილია 27 (ოცდაშვიდი) სამუშაო დღე.
სამსახური გაძლევთ ხარვეზის შევსების შესაძლებლობას 27 (ოცდაშვიდი) სამუშაო დღის ვადაში. აღნიშნულ ვადაში სრულყოფილი დოკუმენტაციის წარმოუდგენლობის შემთხვევაში თქვენი 2023 წლის 1 მარტის №AR1951841 განცხადება დარჩება განუხილველი.
წინამდებარე გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის.: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქ. №7) კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.